

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia)  
სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი №57

ქ. თბილისი

2019 წლის 29 ოქტომბერი

განსახილველი საკითხები:

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სალიკვიდაციო კომისიის მიერ წარმოდგენილი სალიკვიდაციო ანგარიში (დანართი 1ა); საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) დებულების დამტკიცებისა და სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის №137 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ (დანართი 1ბ) და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ათასწლეულის გამოწვევის ფონდის – „საქართველოს“ (MCA – Georgia) შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 31 მაისის N441 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ (დანართი 1გ).

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. ა) დამტკიცებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სალიკვიდაციო კომისიის მიერ წარმოდგენილი სალიკვიდაციო ანგარიში (დანართი 1ა);  
ბ) ლიკვიდირებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო (MCA-Georgia) 2019 წლის 29 ნოემბერს;  
გ) მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) დებულების დამტკიცებისა და სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის №137 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ (დანართი 1ბ) და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ათასწლეულის გამოწვევის ფონდის – „საქართველოს“ (MCA – Georgia) შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 31 მაისის N441 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ (დანართი 1გ).

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გადაწყვეტილებებს ადასტურებენ ხელმოწერით:

გიორგი გახარია  
საქართველოს პრემიერ-მინისტრი  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



მიხეილ ბატიაშვილი  
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა  
და სპორტის მინისტრი  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე



ივანე მაჭავარიანი  
საქართველოს ფინანსთა მინისტრი



თეა წულუკიანი  
საქართველოს იუსტიციის მინისტრი



დავით ზალკალიანი  
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი



ნინო ჩინჩალაძე  
საერთაშორისო განათლების ცენტრის  
დირექტორი

